წერილის ნომერი: **46-462319959**
თარიღი: **18/07/2023**

ადრესატი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატო ირაკლი კუჭავას

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგახსენებთ, მუნიციპალიტეტის მერიაში, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოში, შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 12 ივლისის #15/38016 წერილი (თან ერთვის), რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N 28.01.22.116, ს/კ 28.01.22.266, ს/კ 28.01.22.267, ს/კ 28.01.22.268, ს/კ 28.01.22.134 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის საკითხს, შემდეგი გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მასობრივი და პროფესიული სპორტის განვითარების მიზნით, ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, განზრახული აქვს შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის, კერძოდ, თანამედროვე სპორტული ბაზის მოწყობა, რომელიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მოიცავს:

1. სამ საფეხბურთო და სარაგბო მოედანს;

2. მულტიფუნქციურ სპორტულ დარბაზს (50*30) 250-300 მაყურებელზე;

3. დახურული ტიპის 25 მეტრიან საცურაო აუზს, ტრიბუნით 200 მაყურებელზე, ბავშვთა საცურაო აუზს;

4. თანამედროვე სტანდარტების სასტუმროს 60 პერსონაზე;

5. არსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაციას.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, შერჩეული იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები, შემდეგი საკადასტრო კოდებით: 1. #28.01.22.116 (განთავსებულია სპორტდარბაზის შენობა), 2. #28.01.22.266 (განთავსებული დიდი და პატარა საცურაო აუზი და სპორტკომპლექსის შენობა-ნაგბეობა), 3. #28.01.22.267 (საფეხბურთო მოედანი), 4. #28.01.22.268 (რაგბის მოედანი), 5. #28.01.22.134 (განთავსებულია გასახდელის შენობა).

თანამედროვე სპორტული ბაზის მშენებლობა და მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო

დოკუმენტაციის მომზადება უნდა განახორციელოს შპს ,,სპორტმშენსერვის“-მა (ს/ნ - 204878542).

მივესალმებით აღნიშნულ გადაწყვეტილებას და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტების, 108-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, განიხილოთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #45-ში მდებარე 1150.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.01.22.116; სპორტდარბაზის შენობა), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #51-ში მდებარე 5828.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ - 28.01.22.266; დიდი და პატარა საცურაო აუზი და სპორტკომპლექსის შენობა-ნაგბეობა), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #24-ში მდებარე 48644.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-

ნაგებობების (ს/კ - 28.01.22.267 (საფეხბურთო მოედანი), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. #24-ში მდებარე 27629.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.268; რაგბის მოედანი) და დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 66.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.01.22.134; გასახდელის შენობა) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, შემდგომში შპს ,,სპორტმშენსერვის"-ის კაპიტალში შეტანისა და თანამედროვე სპორტული ბაზის მშენებლობის მიზნით.

დანართი zip ფაილი.

პატივისცემით,

დავით შარაშიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი